



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახატშიანი გაზეთი; გაჟღერდის ყოველ კვირა ღამს.

№ 25

0 3 5 6 1 5 1 8 9 7 წ.

№ 25

შინაარსი: დაწვეული საქმე — სხვა-და-სხვა ამბები. — კვადის კორესპონდენციები. — წერილი ინგლისიდან საზღვარ-გარეთელისა. — გოდება იერემიასი (დავითნიდან), ლექსი — კი — სა — ბიბლიოგრაფიული შენიშვნა მიტროფანე ლაღიძისა. — ქაჯი (მოთხრობა) დ. თომასილისა. — პროვინციის ვითარება (ტურისი უბოგრობიდან) პროვინციელისა. — საქველ-მოქმედო საქმე. — განცხადება.

აკვალის“ ხელის მომწერლებს მოვაგა-  
ნებთ, ვისაც ფული არ შემოატყანია,  
ვთხოვ შემოიტანონ 1 ივლისამდე.

ში, დრამატული, წერა-კითხვის საზოგადოების საქ-  
მეები და სხვა ყველა ერთდა იმავე უმოძრაობის წერ-  
ტილზე ღვას, რაც ამ ათ-თუთხმეტი წლის წინეთ  
იყო. ბევრი ისეთი საქმეებიც გვაქვს დაწვეული,  
რომ ჩვენი დაუდევრობით, გულ-გრილობით ლამის  
დასაწყისშივე ჩაიფუშოს.

დავიწყებული საქმე.



ათედა ყველა კრებები — ბანკისაც,  
თავდა-აზნაურობისაც და სხვა-და-  
სხვა საზოგადოებებისაც. — ყველა  
თავ-თავიანთ ბინას უბრუნდება, სა-  
ავარაკოთ განსაყენებლათ მიეშუ-  
რება. თითქოს განაგებ ჩვენ ყვე-  
ლა საქმეებს მოეუყრიოთ ხალ-  
მე თვის საგაზაფხულათ, რომ იქნება ამ დროს მაინც  
მოეცოცხლდეთ, ძილს და ზარმაცობას დაეღწიოთ  
თავი, მაგრამ შენ მტერს, რომ ჩვენ არც ამ დროს  
ვაკეთებდეთ რასმე!.. ერობის შემოღების საქმე ჩვენ-


მე ვამბობ, დედათა სკოლის გახსნის შესახებ.  
აქამდის ერთი-ორი მაინც ხმას ამოიღებდა ხოლმე  
ქალების სკოლის საჭიროებაზე, წელს კი კონ-  
ტიც არავის დაუძრავს, ამისთანა ფრიად საჭირო საქ-  
მე სულ დავიწყებას მისცეს.

მას შემდეგ, რაც აღძრეს ლაპარაკი ქალების  
სკოლის საჭიროებაზე ბევრ სხვა-და-სხვა საქმეებზე-  
დაც დავიწყია სჯა-ბასი. მართალია, ვერც ერთი  
საქმე ვერ დაეყენეთ მტკიცე ნიადაგზე, მაგრამ ქა-  
ლების სკოლის შესახებ მაინც რაღაც განსაკუთრე-  
ბული გულ-ციგობა, დაუდევრობა ეტყობა ყველას.  
ჩვენ უაჯახობა გელუბავს, დღეს-ხვალ ჩვენი ხელითა  
ვე ჩავაქრობთ ეროვნულ კერას, მხოლოდ დედაქ-  
მეუძლია ამ კერის შენახვა და ჩვენი დაუდევრობით,

საქმის ხელ-შეწყობლობით ელუბათ ჩვენ არსებობას, ბევრნი გვეტყვიან ახალს არას ბრძანებსო, მაგრამ რომ ასჯერ და ათასჯერ მოგვიხდეს ერთი-დღიგვის გამოერება, თუნდ რომ ჯგერს-გვეცენ, მინც ეიტყვი, რომ ამ სკოლის საქირება ძვალ-რბილში რომ გვექონდეს გამჯდარი, აქამდის საქმეს ვეშეგვილით.

მარშან კამისია იყო ამორჩეული, რომ მას მოეძებნა წყაროები, რითაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ქალების სკოლის შენახვა, მაგრამ ამ კამისიას სხვა კამისიაც ამოუყენეს გვერდში—ვაჭებისთვის სამეურნეო სკოლის საშუალების მოსაპოვებლათ; —ამის გამო არც ერთს და არც მეორეს არა ეშველა-რა. ჰწეწენ ბანკს, უიმისოთაც დაეი-დარაბით გაწყვილეს, ჰწეწენ მომავალ ქარავსლის შემოსაველს და სანუგებოეს კი არასა ეხედეთ. ქალთა სკოლის კამისიასი გამოჩვეული იყო მარშან, რომ ქალთა კამიტეტს თითქმის 18000 მან. აქვს მოგროვილი, ხოლო წლევეანდელი თვილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეძლებულ მოსწავლეთა შემწეობის კამიტეტის ანგარისში ნაწევრებია, რომ ქალთა სკოლას 14,900 მან. მეთრ არა აქვს ბილეთებათ. დანარჩენ ფულებით რატომ არა ყიდულობენ ბილეთებს? ჩვენ ვერ გავიგევა, რატომ თითონ ქალთა კამიტეტი არ უგდებს ყურს თავის ფულს? თუ კი შეიძლო მოგროვებდა ორი ათას თუმანდის, სულ გროშობით, ვანა ახლა ასე გაჭირებით მოგროვილ ფულს თითონ უფრო კარგათ ვერ მოუვლის? რა ღალატობა უნდა, რა საქირთა იყო ამ ფულთა სრევა თავად-აზნაურთა სკოლის კამიტეტის ფულთან, „სკრის“ მამულის ან საზოგადოების სახლის შემოსავალ-გასავალთან? იქნება როდესაც ქალთა კამიტეტს ართმევდენ ამ ფულს ზოგიერთი ხელმძღვანელობდა მაღალი უმინარი აზრით, რომელიც მომავლეთისთვის გაუგებარია, ამას სწოლოთ ბოლოს შევეტყობთ...

ახლა კი გავიმეორებთ არა ერთელ ნათქვამს, რომ ქალები თუ თვითონ არ გაუძლევიან თავიანთ საქმეს, გულს არ დაუდებენ, და არ მონახავენ ახალ წყაროებს, არასოდეს არ გვეღირსება ქალთა სკოლა და ჩვენ ოჯახს უმისისოთაც წყალ-წაღებულს აუციალებლათ გადაგვირება მოედის.



სხვა-და-სხვა ამბავი.



ერთი უღარესი ამ წლის მოკლენათაგანი არის ჩვენს სამშობლო ქვეყანაში საერთო ძალით ეკონომიური ზომების აღება ალბ-მიცემობის ამ-

ხანაგობათა შედგენა იმ განხრახებით, რომ ერთი მხრით ჩვენს ყოველ გვარ დარგს წარმოებისას მიეცეს შესაფერი განვითარება, წინმსტელობა ნაწარმოების გასაღებით, მისთვის კარგი მაზანდის და ტრეკლი ბაზარის მოპოვებით და მეორე მხრით ყოველნარი საეპქრო ნიეთი მოპოვებოდეს იაფათ ჩენნი ერისთვის. ამ ორ გვარ დანიშნულებას ჩინებულათ ასრულებებს ესრეთ წოდებული საეპქრო ამხანაგობა, რომელსაც საზოგადო სახელი „შუამავალი“ ჰქვია.

დაარსდა გურიასი წარსულ წელს ასეთი შუამავალი, ახლა სამეგრელოშიაც დაარსებულა მეორე ამხანაგობა შუამავალისა. ვიგორე ჩიჩუას თაისნობით. ამ ამხანაგობის საქმის გამგეთ ამოურჩევიათ სამსონ ყიფიანი, ახალ სენაკის სათავად-აზნაურთა სკოლის მმართველი.

განხრახება ასეთი ამხანაგობებისა ის არის, რომ ხალხში ჩარჩ ვაჭრებს ფეხი ამოაკეთებინონ და იმათ მიერ წადებული მოგება ალბ-მიცემობისა ისევე ჩვენ ხალხს დაუბრუნდეს ღიედენებრათ. ამ გვარი ეკონომიური მოძრაობა უეჭველია დროამ გამოიწვიოს.

ჩენი ხალხი გამოუხიზლდა და შეიგნო ჩარჩ-ვაჭრების ექსპლოატაცია. მწარმოებელთა ამხანაგობები ნამდვილათ განავითარებს ჩვენში კაპიტალისტურ წარმოებას, ნამდვილათ დაიხსნის ჩვენს წარმოებას უცხოელ ვაჭრების კლანჭებისაგან; მაგრამ ყოველ ამხანაგობითს საქმის წარმოებას დიდი სიფთხილე უნდა, დიდი მხნეობა, სულგრძელობა და უანგარობა. უამისოთ არც ერთი ამხანაგობის საქმე ვეცის ვერ გაიმეორებს ჩვენში. ამისთვის გავათხიზლებთ შუამავალთა დამარსებლებს, რომ მეთაურებათ ეცადონ საქმის მცოდნე და უანგარო მოღვაწეები ჩააყენონ. შეიძლება კაცი უანგაროა, მაგრამ ვაჭრობის საქმე არ ესმის, ადვილი დამჯერეც არის. მაშინ ამხანაგობის საქმე მალე ჩაიფუშება. ხომ გავიგონათ, ავი შენახავი ქურღზე უარესიოა.

აგრეთვე ეთქვათ, ის პირი, რომელიც მოწვეულია ამხანაგობის საქმის წარმოებისთვის, მართალია კარგი მკვირცხლი ევაჭარი და საქმის მცოდნე კაცია, მაგრამ ანგარი კია, მაშინაც ამხანაგობის საქმე ხიფათში იქნება ჩავარდნილი; ამისთანა კაცი ემგზავნება იმ მელას, რომელიც საქათმოს დარაჯათ დაუყენებია ოჯახის მებატრონეს.

მაშასადამე ვაუთხილეთ „შუამავალ“ ამხანაგობათა დამარსებლებს დიდი ზრუნვა და ყურადღება იქონიონ თავის ამხანაგობის ზოხლევეებზე. ვინც უნდა იყოს, ნურავის ნუ ენდობიან, ყოველ ნაბიჯზე ანგარიში უნდა მოითხოვონ. ამხანაგობამ სწორათ უნდა დანიშნოს ხოლმე კრებები, ყოველ კვირასი გა-

შენჯონს ამხანაგობის დაფორები და მოთხოვის მე-  
თაურებს მათი მოქმედების გეგმა.

ყოველმა დაარსებულმა ამხანაგობამ ჯერ-ჯერო-  
ბით თავის თავით უნდა აწარმოოს საქმე, სხვა ამ-  
ხანაგობასთან ნუ შეერთდება, სანამდის თვითონ კარ-  
გათ ზურგს არ გაიმარებს. შემდეგ კი შეიძლება ამ-  
ხანაგობებმა კავშირები შექმნან, ერთმანეთში დამო-  
კიდებულება იქონიონ, მხოლოდ აღებმაცემობით და  
ნდობის გახსნით, შინაგანი სამხანაგო საქმეების წარ-  
მოებაში კი სრული დამოუკიდებელი უნდა იყონ.

\* \*

ორშაფათს, 9 ივნის გაიჩნა საქმე თფილისის  
ოლქის სასამართლოში „ნ.ბ. იბოი“ რედაქტორის თ.  
ვ. თუმანიშვილისა, რომელიც უჩიოდა თ. ნ. დიასა-  
მიძეს, რომ იგი შარშან, ბანკის კრებების დროს,  
თავს დაცვა, მოულოდნელათ ვ. თუმანიშვილს და  
თავი გაუტეხა. დამანაშავეს, თ. ნ. დიასამიძეს, სასა-  
მართლომ მიუსჯა შვიდი დღით ჰაუტუბატში და-  
პატიმრება. მოჩივარს განზრახვა აქვს საქმე გადი-  
ტანოს სამოსამართლო პალატაში.

\* \*

ხარკოვიდან გვეყრენ: შინაგანი და საერთო გა-  
ნათლების სამინისტროები შეთანხმდნენ, რომ გახსნან  
კბილის საექიმო სკოლა ხარკოვში. ამ სასწავლებ-  
ლის დირექტორათ დანიშნულია ცნობილი სპეცია-  
ლისტი კბილის ავითომეოლოგისა და ხანაპირის სენისა  
ს. ა. ნემიროვსკი.

სკოლაში მიიღებენ ყოველი სარწმუნოების და  
წოდების შეილებს ორ კატეგორიით:

1) ვისაც საშუალო სასწავლებელში უსწავლია  
და ექსკლასიანი მოწმობა აქვს, იმას მიიღებენ და  
ორ წელიწად ნახევარს შემდეგ შეუძლია დაიჭი-  
როს სამკურნალო მეცნიერების ფაკულტეტზე ეგზა-  
მენი; იმას დააჯილდოებენ კბილის ექიმის დიპლო-  
მით; 2) ვისაც სკოლაში არ უსწავლია და ისე  
შევა ამ კბილის საექიმო სასწავლებელში, ის  
უნდა დარჩეს აქ სამ წელ იწადს, რომლის შემდეგაც  
იგი დაიჭერს ეგზამენს და მიიღებს დიპლომს დანტი-  
სტობისას. ამ სკოლაში უკითხვენ ლექციებს უნივერ-  
სიტეტის პროფესორები.

ამ სასწავლებელს კავკასიისთვის დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს. თუმცა ასეთი სკოლა ოდესმაც არის,  
მაგრამ იქ თურის დასრულებულები უნდა წავედნენ იმ  
უნივერსიტეტში, სადაც სამკურნალო მეცნიერების  
ფაკულტეტი და იქ დაიჭირონ ხოლმე ეგზამენი;  
ეს კი სამძიმოა ყველასთვის.

ეს სკოლა იხსნება ამ წლის პირველ სექტემბ-  
რიდან.

\* \*

თფილისის პირველ კლასიკურ ლენინაზიაში სწავ-  
ლა დაამთავრეს 58 ყმაწილმა. მათ შორის ქართვე-  
ლი თოთხმეტია, სომეხი ცხრა და დანარჩენნი სხვა-  
დასხვა უცხო ტომს ეკუთვნენ-ან. ამათ შორის ოქროს  
მედალს მიიღეს ქართველი მოწაფე უთნელიშვილი.

\* \*

ქუთაისის ლენინაზიაში წელს დაამთავრეს კურსი  
31 ახალგაზდამ; იმათ შორის თექვსმეტი ქართვე-  
ლია, ორი სომეხი და დანარჩენი სხვა ტომის ხალხი.

\* \*

ამ ცოტა ხანში ჰოლანდიის სატახტო ქალაქ  
ამსტერდამში იქნება, სხვათა შორის, გერმანიის და  
რუსეთის წარმომადგენელთა კრება, რომელიც დაა-  
დგენს პირდაპირ ევროპაში ერთნაირ გადასატან ფა-  
სებს რუსეთის ნეთისას.

\* \*

ქალაქის გამგეობას და პოლიციმენტის გავა-  
წუყვეტიათ, რომ აუკრძალონ თფილისში ძველი ტა-  
ნისამოსის გაყიდვა, თუ იგი არ იქნა გატარებული  
დებნფექციის კამერაში და ნიშნათ ზედ არ ეტყრება  
დებნფექციის ტყვია.

\* \*

თფილისის გუბერნიის ადმინისტრაციას ამ გა-  
მათ ყურადღება მიუტყვევია, რომ სასოფლო ავით-  
მყოფთა თავშესაფარებთან არსებულ აფრიაქებიდან  
სოფლის მცხოვრებთ, რჩევა-დარიგებას გარდა, წა-  
მლები; ცვლით ხოლმე, რისთვისც განკარგულება  
მოუხდენია, რომ სოფლის ექიმებს წამლები გვგზავ-  
ნათ. (აიყერია“)

\* \*

როგორც შევიტყუეთ, ამ წვართ თფილისში ჩა-  
მოსულა რამდენიმე ინფენიბი, რომელნიც ბნ რა-  
მანოვის უფროსობით კახეთს რკინის გზის ლიან-  
დაკის გამოსაკვლევით წაყლენ. გზის გამოსაკვლევით  
მთავრობას 30,000 მანათი გულუღვია. (აიყერია“).

\* \*

უჩიოების მიზეზით, რომ 1895 წელს ერუი  
იბერელი, მონაგალი მოწამეთდან, დაიჩრა რიონში

და ამის გამო ხალხმა ურჩები დაოხა და ზოგიერთს სახლებიც დაუმტერია, ამის თაობაზე სასამართლომ თერთმეტ კაცს ჩამოხადა ღირსება და გადაასახლა ციმაზის. ზოგიერთმა მათგანმა გადიტანეს სასამართლო პალატაში საჩივარი, რომ სასჯელი შეემსუბუქებნათ; მაგრამ სასამართლო პალატამ შეუმსუბუქა სასჯელი მხოლოდ ტყვეშლაშვილს, რომელიც უნდა დაპატიმრდეს ერთი წლის ვადით; ხოლო ექვტორ ერისთავი კი სრულიად გაათავისუფლა სასჯელისაგან. დანარჩენი ცხრა კაცი გაგზავნეს ციმაზისში.

\* \*

წელს თუილისის სამოქალაქო ფერშლის სასწავლებელში სწავლა დაამთავრეს და მიიღეს დიპლომი მედიცინის ფერშლისა პირველ ხარისხით: ელი ნაცვალაძემ, მეორე ხარისხით: ალექსი ერმალოვმა, ე. ხასიაშ, ივ. ზოკერიამ, მ. ზოგდანოვმა, ს. ჩუმბაროვმა, ს. კვიციანიძემ, ელ. კალანდაძემ და ნ. არხიზოვმა. პირველი ექვსი სახელმწიფო ხარჯით იზღებოდა და დანარჩენი კი თავის ხარჯით.

\* \*

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ ლატარია-აღვერიდან შემოვიდა 3,220 მ. 90 კ; ხარჯი იყო 870 მ. 80 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 2,350 მ. 10 კ.

\* \*

საოსტატო ინსტიტუტში კურს-დამთავრებულნი. 10 იენის დასრულდა ეგზემენები ტუილისის ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში. სწავლა შეასრულეს 22 კაცმა, რომელთაგან ქართველი ხუთია: დ. ანანიაშვილი, ე. მათეშვილი, ე. ჩხაიძე, გ. ჯაში და ე. ქუყანია; დანარჩენი: 12—რუსი, 1—სომეხი, 1—ბერძენი, 1—ოსი, 1—ებრაელი და ერთიც ავსტრო-უნგრული სლოვაკი.

მთელს ინსტიტუტში ქართველი მოსწავლე რვა-ღა დარჩა მანძინ, როდესაც წარსულ წლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი 25—30 იყო. (ივ.).

\* \*

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები: ახალი მკითხველის გამოცემა „შრომა და კამიტალი“ — წიგნი ღირს ერთ ახაზთ.

„გლეხი კაცის ისტორია“ ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაქვარიანისა, წიგნი ღირს ხუთმეტ შაუკრათ. ორივე წიგნი სუფთათ არის გამოცემული.

### „გვალის“ კორესპონდენციები.



გომპორი. ეიწრო და ტყით შემოსილ მღ. იორის ხეობაში მდებარეობს ახალშენი (НОВАЯ) გომპორი. აქა ცხოვრობენ სამსახურ შესრულებული სათადარიგო რუსის ჯარის ხალხნი, რომლებიც სამსახურის ვადას შესრულებას შემდეგ აქვე დასახლდნენ კარებულან და დღეს ამ მცხოვრებთა რიცხვი ას კომლს აღემატება. გარდა ამით გომპორში დგას გრენადერის ჯარიც, არსებობს სამკვლელო სასწავლებელი და ახლათ გაშენებული შეენიერი ეკლესია.

გომპორის მცხოვრებლები უმეტესათ ძროხის-მოვლა-მოშენებას მისდევენ, რასაც ხელს უწყობს გომპორის გრილი ბალახიანი მთები.

აქ გარდა გომპორელებმა მრავალი სხვა ხალხია ამოსული თოიანით ცხვარ ძროხით ამ მთებზე; გომპორის ცივი მთები აგროლებენ მის მიდამოს და სასიამოვნო საზაფხულო ადგილათ ხდიან, ამიტომ გომპორში ზაფხულობით ბევრი მოვაკარკენი მოდიან თუილისიდან.

გომპორელ რუსებს სხვა ადგილ სახმარებელ სამიწათ-მოქმედო იარაღთა შორის ახალი სისტემის გუთნებაც შემოუღიათ.


გუთნებში ყვეარი (იშვიათათ სამ ულელი) ხარი უბიათ და აქაურ ოღრო ჩოლორ ადგილებს იმავე სიღრმეზე, გაუჭირებელივ ხნამენ, როგორათაც თელავის და სიღნაღის მაზრებში, სადაც 7—8 ულელი ხარ-კამეჩი უბიათ და 5—6 კაციც ცდება.

გომპორში საზოგადოთ კარგი მოსავალი იცის, უფრო კი კარითაფილისა, რომელსაც სულ არა რწყავენ, მაგრამ კარგი კი მოდის.

ტ. ჭობარკული.

\* \*

სოფ. გვალთით (შორაპნის მაზრა) 6 იენის აქ ერთი ქლავი-ქლუვი და ვაი-შემეცლებელი შეიქნა, მე, თუმცა წინეთ ვიცოდი რაც ამბავი იყო და განგებ მას ეუყურებდი, როგორც ერთი მემამულეთაგანი, მაგრამ სწორეთ მოგახსენოთ, საგრძნობლათ შემაკრთო ხალხის ყვირილმა და ერთმანეთის გადაძახებ-გადმოძახებამ: „მეჩვენანია მოდის მერყევანია“!.. ეხედვ დარბის ხალხი თათაფის საზღვარზე; თოხით, ზარით, ნახშირით და ქვეით. თქვენ წარმოიდგინეთ ისეთი ხალხი დადვს უკან მეჩვენანისა და ედავება საწყალ გლეხებს მამულს, რომ ოკი-ოკდაათი წლის განმავლობაში, თაფისაგან გაყიდული მამულისაგან არათფერი უსარგებლიათ, ესენი იმისთვის ედავებიან საწყალ გლეხებს მამულს, რომ ცოტა რამ ვადა-



ახდენიონ. მაგრამ გლეხებიც არაფერს აძლევენ ამ „ოინმაზებს“.

დასასრულ არ შეიძლება მეცხენიანის ხასიათი არ შევნიშნოთ. მაგალითათ, სასულგარი არის მოხრილათ ათიდან თუთხმეტ საქანმდის, არაფერი გზით მოხრილ სასულგარზე სამანს არ გააკეთებს; ნება არა გვაქვს ახლო-ახლოს სამნები ჩაესვათ ხოლმეო. ნუ თუ მართლა არა აქვს ნება? აბა რა ეშველებათ, როდესაც მესასულგარები ერთი სასულგარიდან მეორემდე თოკს გააბმენ, ხომ ერთმანეთს ამოწყვეტენ, რადგან თოკი გაბრუნდებულ ადგილს ერთ-ერთ მოსასულგარეს არ-გუნებს. ან სწორეთ ამისთანა კაცებზე არის ნათქვამი. „სოფელი ენახე უძალოო შიგ გავიარე უჯრა-ხოო“.

მეთვალყურე.

\* \*

ს. ბოაკილი (ოზურგეთის მახრა) შეადგენს ჯუმათის ერთ საზოგადოების კუთხეს, რომელიც მდებარეობს მდინარე სუუსის პირათ. მალღობ-ვაკეზე აქ აგებულია ძველის ძველი ხის ეკლესია, წმ. ნიკოლოზის სახელობაზე, რომელიც საზაფხულო საწირავ ეკლესიას ჰქონდა განსვენებულს გურიის ეპისკოპოსს გაბრიელს. რაც ნეტარ სხენებულმა ეპისკოპოსმა დატოვა ეს ეკლესია და ვადაბრძანდა ნავაობარში, მისი გაუმჯობესობაც მიყურდა. თუმცაღა მრავალი მღვდლებიც გამოიცივლა აქ, მაგრამ ეკლესიის გაუმჯობესებაზე არაფერს არ უფიქროს: ეკლესია დაძველდა ისე რომ 1894 წელს თითქმის ინგურდა; ფურის ძველი იატაკი ისე ჩაღმა რომ შიგ შესულია საშიში იყო; საძირკვლები გამოღმა, ეკლესიაში წვიმა ჩამოდოდა. ამ დროს (ოთხი წლის წინეთ) აქ დაინიშნა მღვდლათ მამა იოსებ დარჩია, რომელმაც ახედ-დახედა ეკლესიის მდგომარეობას და თქვა: „ან მოკვდები და ან ეკლესიას გავაუმჯობესებო“?!. მართლაც და ახ. კანდეაკები და სხვა შევანებული პირები, გლეხლის დარჩიას ჩაგანებით, შეუდგენ ეკლესიის გაუმჯობესობას და მათი ბეჯითი მცვლდინებობით წინ წავიდა საქმე, ერთი წლის განმავლობაში შეიძინეს: შენიერი კანკელი, მრავალი ხატები, საეკლესიო წიგნები და სხვა. ყველა ამანების შესრულება მრევლისათვის საძნელო იყო, მაგრამ მღვდელმა იოსებ დარჩიამ იკისრა, ეთხოვა შემწეობა სხვა-და-სხვა პირებისაგან, რომლებიდან შედგა მრავალი შემოწირულება და მით მიეცა საშუალება ზემო სხენებული ნიუთების შეძენისა. მადლობის. ღირსია მღვდელი მამა იოსებ დარჩია, ასეთი კეთილი საქმისათვის.

ს. ა. წ — შუღი.

### წერილები ინგლისიდან.

I.

ინგლისელი გარკი.



ნგლისი! ინგლისელი! ვის არ გაუგანია ეს? ვინ არ იცის თუ რა არის ინგლისი? ვის არ უნახავს ინგლისელი! ინგლ-სეულს თავისი ინგლისელობა შუბლზე აბეჭდია. აბა შეხედეთ მას, განა გაეს ის სხვა ერის კაცს? თხელი ტანისა, მაღალ ფეხებზე შემდგარი, თავი დიდი, სახე პატარა, შუბლი რვეალი და ძალზე წინ წამოწეული, მოწითალო ფერი — აი ინგლისელი. ათას კაცში რომ ერიოს, უთუოთ მიხედებით ეს ინგლისელიაო. ის არც ერთს არ ჰგავს, არაფის არ ერევა, არც ერთ თავის განსაკუთრებითი თვისებებს არ ჰკარგავს. შეიძლება ფრანგი გერმანელათ მიიღოთ, გერმანელი კიდევ იტალიელათ, მაგრამ ინგლისელს კი ვერც ერთათ ვერ მიიღებთ, ის ყოველგან და ყოველთვის რჩება იმათ რაც არის, ინგლისელათ. და განა ამის მიზეზი მართო მისი შეხედულებაა? არა, ქვეყა და მიმოხერა ისეთივე მოაწემა მისი გეოგრაფიობისა, როგორც მისი გარეგანი სახეობა. მისი სიარული სხვის სიარულს არ ჰგავს, მისი ჯდობა სხვისას, მისი მორთვა-მოკაზმულობა ხომ სხვა არის და სხვა. არ იფიქროთ ის თავის თავს ძალას ატანდეს ჩემი ენაზეა უტყველო გამოავაფინოა. ეს წარმოადგება სრულებით თავის თავათ, ძალა დაუტანებლათ, ბუნებრივათ, ის ამაზე არც კი ფიქრობს, არ ზომავს, არ ანგარიშობს, და სწორეთ ამიტომ ის ასე განირჩევა ყველა დანარჩენისაგან. ის აძლევს თავის თავს სრულ, ჩვეულებრივ, თავისუფლებას. პარკში თუ ბერლინში, ყენევაში თუ ბათომში — ერთის სიტყვით ყოველგან ის ერთ-ნაირია, ერთი კლაპოტისა.

ინგლისელი ვერც ერთ უცხო საზოგადოებას, ხალხს და ზნე-ჩვეულებას ვერ ეწყობა. სადაც უნდა შევიდეს, უთუოთ თავისი ელემენტი უნდა შეიტანოს, და ეს ისე ძლიერია, რომ ყველა მამინეე იგრძნობს აქ რადაც არა ჩვეულებრივი უნდა იყოსო. ძალიანაც რომ სურდეს თავისი თავის გარდაქმნა, ვადა სხვათათ ჩაქედლია მის გროვებობა ისე ღრმავთ რაქედლია მის ავებულებაში, რომ ყოველივე მოპირდაპირე ძალას არღვევს და თავისი გაქვს. ამიტომ არის რომ ინგლისელი ისე სიამოვნებით დამდერის:

In spite of all temptations Fo belongs to other nations he remains an Englishman. წინააღმდეგ მისი მცვლდინებობისა, რომ სხვა ერის კაცათ გადაიქვს, ის მთიჯ რჩება ინგლისელათ.

გავგონათ ოდესმე ინგლისელი ვადაგვარდოა? ან და ვინმე განიგლისელდოა? უტყველია არა, ვინაიდან არც ერთი და არც მეორე არ ხდება. აი თუნდა ავიღოთ ირლანდია. ის ერთი და ლიტერატურით თითქმის ერთიანად განიგლისებულელია. მაგრამ ნამდვილათ კი განიგლისელა? სრულებითაც არა, ირლანდელი ირლანდელია და ჩანს, ინგლისური ენა მან იარაღით გამოიყენა ინგლისთან საბრძოლველათ. ირლანდის ნაციონალური მოძრაობა წარმოებს განსაკუთრებით მისი ინგლისურათ მოლაპარაკე ნაწილით. ინგლისელს არ შეუძლია რომელიმე ხალხი განიგლისელოს, თავის ერში ვალესოს, თავის გვარტომობაში გააქროს. ეს იმიტომ რომ ის სხვა ერისაგან განსაკუთრებულია, განსხვავებულია, ისე როგორც მისი კუნძული სხვა ქვეყნისაგან განსაკუთრებულია, განთავსებულია. ინგლისი მოუწყვეტილია ევროპისაგან, ინგლისელი-ევროპიელიისაგან, მათ შორის ხილია ჩატეხილი. ამისათვის მათი მოქმედება და აზროვნება ღრმად განიჩნება ერთმანეთისაგან. გერმანიის აზრით, ქვეყანა უნდა გავერმანელდეს, ერთი ძლევა მოსილი გერმანიის სახელმწიფო შედგეს (პანგერმანიზმი). ფრანგის აზრით, ქვეყანა პარიეში უნდა მოდიოდეს, ცივილიზაციით, გემოვნებით გფორანდეს, გაპარიეკლდეს. ინგლისელი კი სულ სხვანაირად ფიქრობს: სადაც ჩემი საქანელი მივა, იქ მივა ჩემი სახელიც და ძალაცა. ამით გვიღ და ვაჭარი ხდება მის განდიდების ჩარხათ. და მართლაც, სად არ არის ის, სად არ მიდიამოდის? იქ სადაც არც ერთ ევროპიელს არ მოუღწევია, ინგლისელი უთუოთ შინა კაცია. ის ყოველგან მოძრაობს, ყველადფერს ხელს ჰკიდებს, ცას და დედა-მიწას ანძრეც.

ინგლისი ერთობ პატარა ქვეყანაა. მას საკუთრათ ერთი კუნძულიც არ უჭირავს, ის კმაყოფილდება ნახევრითაც, ამ ნახევარშიაც კი სხვა ჰყავს ჩაზირებული, სახელდობარ ვალისი. ასე რომ ინგლისი შეადგენს ერთი კუნძულის მესამედს, სულ 50 ათას ოთხ-კუთხ მისს, რომელზედაც მოსახლეობს 27 მილიონამდე სული. აი ამ პაწია ერის სამფლობელოს შეადგენს 11 მილიონი ოთხ-კუთხი მილი, ე. ი. სამი ევროპისოდენა, ანუ თითქმის მთელი აფრიკის ოდენა, მთელი ქვეყნის მესხუთელი ნაწილი. ამოდენა სიერცხვ ცხოვრებს 372 მილიონზე მეტი და ყველა ეს განხეულია მთელ დედამიწის ზურგზე, რით, რა საშუალებით აჩერებს ინგლისი მათ თავის ხელთ ქვეშ? ჯარით, მართაბით? არა, მან კი ხანია უფარ ჰყო როგორც მოღირსობაში — სამხედრო წყობილება, ისე ბიუროკრატიაში, ჩანოენიკთა ბატონობა. მას რაზედ არის მისი უფროსობა გამაგრებული?

იმაზე რითაც მან ეს ქვეყნები შეიძინა. რით შეიძინა?

ინგლისელი ქვეყანას მიენს ვაჭრობით. ის მიღის უდაბურ ადგილას, იქ სადაც ველური ხალხი ცხოვრებს. იცეთებს სახლ-კარს და დეგბა. ისი თავის სუფლათ და უშიშრათ არის, როგორც ლონდონში. ამ ერთ ინგლისელს მეორე ემატება, მეორეს მესამე და ასე დეგბა ჩინებული ახალ-შენი. რაკი ერთხელ ფეხი მოიკიდა, მერე იქიდან აღარ გამოვა. ის თანდა თან იწევა ქვეყნის შუაგულში, ჩეს ტყეებს, აშენებს სოფლებს, ქალაქებს, ვაჰყავს გზები, არხები, ერთის სიტყვით აყეთებს მეორე ინგლისს. ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდება მთაერობაც: ჰო, ეს კარგი საქმეა, ადვილი გაშოვიათ, რადგანაც თქვენ ინგლისელი ხართ, ეს თქვენი სამფლობელოც ინგლისის უფროსობის ქვეშ უნდა იყოს, მაგრამ თქვენ შინაურ საქმეში არ გავერევი, როგორც გსურთ ისე მოიხმარეთო. ამნაირათ მთაერობა აცხადებს თავის უსულებას მხოლოთ სახელით, სახრავი კი ახალ-შენელთა ხელშია. აი ასე გხმუნდა აუსტრალია, ამერიკა, სამხრეთ-აფრიკა და სხ.

ინგლისელი დაბადებულია კოლონიტათ, ქვეყნის გამშენებლათ, ის ამ თავის მოწოდებაში ისე დარწმუნებულია, რომ აღარავის ანებებს ასეთად რომლის თამაშობას. ის ამბობს: მე განათლებულ ევროპაში არ გეცილები, ხოლო ველურ ქვეყნებში თქვენ ნუ შემეცილებითო. უცხო ვემი რომ მიადგეს რომელსამე ველურ ხალხის სამფლობელოს, ინგლისელი ერთ აღიპართას ასტეხს, როგორ გავციებდოა. ეუბნებით, ეს თქვენი არ არის, ვილაცისა, და ნუ ჯავრობებო, მაგრამ ამათ, მისი აზრით ყველა ხალხი, რომელიც კი ევროპიელთა ხელ-ქვეით არ არის, მის საუარეს ქვეშ უნდა იყოს. ნანსენზე, ჩრდილოეთ პოლიუსზე ქვეყანა რომ აღმოჩინა, უთუოთ ინგლისი განაცხადებდა ჩემიაო. აუხვიეთ ინგლისელს თეადლო და მარტოთ-მარტო დაადგეთ ერთ უდაბურ, მიუვალ ადგილას. ნუ გვინათ დიკარკოს. დასარწმუნებლათ მოკრისთეთ რამდენსამე წელს მერე, თქვენ დაიხანებეთ ერთ შენიერ ახალ-შენს, თავისი სკალით, დუქნით, ეკლესიით, ვაზეთით და ყველა ამების მითაურათ იმ თქვენ მიერ გაწირულ ინგლისელს

ახალ ქვეყანაში პირველ ყოვლისა ის მართავს ერთ კანტონას. ინგლისიდან იწერს საქონელს და ადგილობრივ ხალხს მიჰყავს, იყიდო. თუ იქ ხალხი არ ყიდულობს ან არ ცხოვრებს, ის თვითონ შეუდგება დასამუშავებელ მასალის ძებნას და ინგლისში გზავნას. აე თუ ისე ის უტყველათ სავაჭროს გაიჩენს. 1600 წელს აქ შედგა კალმოსალეთ ინდო-



შესანიშნავი შენობა ლონდონში.

ეთის კომპანია“, ინდოეთთან ვაჭრობის გასამართლებათ. მადრას, ბომბეის, კალკუტას საწყობები გამართეს. მაგრამ ჩქარა გამოუჩნდნენ მეტოქენი, პორტუგალიელები, ფრანგნი და სხ. აუჯანყეს ინდოელები. კამპანიაში დაიქირავე მეომრები და რამდენიმე პროვინცია დაიპყრო. ასე წელ-წელა კამპანიაში ფეხი მოიმაჭრა ინდოეთში. ის მართავდა ქვეყანას, აყენებდა გუბერნატორებს და სხვა მოხელეთა და თანაც ვაჭრობდა. რა ძალა ჰქონდა ამ ლონდონელ ვაჭრებს იქიდან ჩანს, რომ 1844 წ. ინდოეთის მმართველი, ლორდი ელენბოროუი, წინააღმდეგ მთავრობის განკარგულებისა, სამსახურიდან დაითხოვა და მის ალაკას სხვა განაწესა. ინდოეთის მართველობა ინგლისის მთავრობას მან მხოლოდ 1857 წ. გადასცა.

ავიღოთ მეორე, უფრო ახალი, მაგალითი, ინგლისის სამფლობელოა სამხრეთი აფრიკა, ქვეყანა უდაბური. ინგლისელ ვაჭრებმა შეადგინეს კამპანია და მთავრობას უთხრეს: მოგვეცი ეს თქვენთვის უსარკებლო ადგილები, ჩვენ აქ ავაშუშავებთ მთა-მადნებს,

გავაშენებთ ქალაქებს, გავიყვანოთ რკინის გზებს, დავატრიალებთ სიცოცხლეს და ასე გაშენიერებულ ქვეყანას უკანვე დაგიბრუნებთო. მთავრობამ მისცა კონცესია. მართლაც ახლა იქ სიცოცხლე დუღს და გაღმოდის, აქეთ საკუთარი პარლამენტი, მინისტრები, ერთის სიტყვით წმინდა ევროპული ქვეყანაა. მთ ხელს უშლიდა მეზობელი ტრანსვალის პუბლიკა, კამპანიაში დაიქირავე მეომრები და შარშან ჯგმსონის წინამძღოლობით თავს დაქა. რომ გავმარჯვებთ, ტრანსვალაია ამ ვაჭრებს და მით ინგლისის სამფლობელოთ იქცეოდა.

ამაჩიათ, ინგლისელი ასე იჩენს ქვეყანას: წინ მიდის კაპიტალისტი, მას მისდევს ლეფელი-მისიონერი და ბოლოს გამოჩნდება მთავრობაც.

როგორ იჩინეს ის ქვეყანას?

ინგლისი არც ერთ თავის ახალ-შენიდან გადასახადს არ იღებს. ის მხოლოდ ვაჭრობს მასთან და აქედან გამოაქვს სარგებლობა. ის არავის ეროვნობას არ ღვენის, არავის წყაზილებას არ არღვევს. ის

თხოვლობის მხოლოდ მის უმაღლესს მფარველობის ცნობას. ყველა მის სამფლობელოში, გარდა ინდოეთისა, თვით მართველობა: ყვეთ თვითნატი კანონ-მდებელი პარლამენტი, თვითნატი მოხელენი, თვითნატი სკოლა და სხვ. ერთის სიტყვით ინგლისის მათ საშინაო საქმეს არ ენება. ის ენა არის ოციკიალური, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს. ასე გაშინჯეთ პაწია მფარდნილი კუნძულიც კი არ არის მიეწეებული. მაგ. ნატალი შეიცავს ნახევარ მილიონ მცხოვრებს, აქეს სრული თვით-მართველობა პარლამენტით, კანალის კუნძული შეიცავს 92 ათას მცხოვრებს, აქეს პარლამენტი და სრული თვით-მართველობა. ხალხი ლაპარაკობს ფრანგულით და ინგლისურათა; ოციკიალური ენა კი ფრანგულია! ერთი სიტყვით ყველგან, სადაც კი ინგლისელი შევა, მიუღებდა ინგლისური თავისუფალი წყობილება. არსად მის სამფლობელოში არაფერ იღვენება გეგარტომობისათვის, სარწმუნოების და ზნე-ჩვეულებისათვის. ყველგან ბატონობს თავისუფლება ენის, სეინდისი, ბეჭდის, ყრილობის, სიტყვის და სხ. ინგლისი ჰქმნის ყოველგან მეორე ინგლისს. „ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი იმპერია არა ეგოისტური მოქმედებით, არამედ იმით რომ ჩვენ ქვეყნის მართვა ეიცითო“ თქვა ლორდჰამილტონმა და მართლაც არც ერთ ერს ისეთი მართვის უნარი არ აქვს, როგორც ინგლისს. რა გარჩევა ინგლისს და არა-ინგლისს შორის ნათლათ სჩანს შემდეგადან: 28/11 აპრილს აქაურ გაზეთებში სათაურით: „რუსული კრიტიკა“ გახ. „СВѢТЪ“-იდან გადმოიბეჭდა შემდეგი: „რუსეთმა სრულიად არ იცის თუ რას შერება ინგლისი კიპრის კუნძულზე. მას ძირიანათ შეუცვლია ძველი ოსმალური წყობილება. შემოუღია ერთი კანონ-მდებელი ხალხის წარმომადგენელობა, გა-

ყოფილი ორ პარლამენტით, ერთს შეადგენენ ქრისტიანთა დეპუტაცია, ხოლო მეორეს ოსმალთა, რომელთაც თანაწორი უფლება აქვთ. ამ ახალ-ცვლილების ძალით, ვერც ერთი მკვიდრი ვერ გასამართლებდა და განიგება თუ არა მის სარწმუნოების, კანონის და ენის საზღვრებში. ინგლისი კიდევ შორს წასულა, თვითოველისათვის უზრუნველ უქმნია სარწმუნოებ-ს თავისუფლება. მან მოსპო ყოველივე გადასახდი სასულიერო წოდების სასარგებლოთ და მით წამოაყენა კითხვა ეკლესიის გაქოლაებისა. ამან შეასუსტა სამღვდლოების ძალა და მნიშვნელობა. რადიკალიზში მოთაყვებულია მართლ-მადიდებლობასთან, რუსეთმა ძალიან უნდა ეხმარებოდეს თვალ-ყური ინგლისს ასეთ მოქმედებას კიპრზე“... და სხ.

აი ორ ნაირი აზრი, ორი სისტემა. ერთს არ რწამს ცვლილება, რადიკალიზში, ხოლო მეორე უამისოთ ვერ განჩრდება. ინგლისი ეუბნება ყველას: მომეცი შენი ქვეყანა და მე მოგცემ თავისუფლებასო. Echange is no roberie. გაცეცა, გაძარცვა არ არის.

აი, ჩემო მკითხველო, ინგლისი როგორ იჩენს და იჩენს სამფლობელოს. ამ გზით ის ისე გაიზარდა, გაიღვდა, რომ ბადალი აღარაფერ ჰყავს. მის იმპერიაში მზე არასოდეს არ ჩავს. როცა ერთ ნაწილს ღამის წყვილი ეფინება, მეორე ნაწილში განთიადი დგება. და ასე 24 საათის განმავლობაში დიდ ბრიტანიას მზე აშუქებს. ინგლისურ ენაზე დღეს 200 მილიონი ხალხი საუბრობს და თითქმის ყველა ინგლისის რასას ეკუთვნის. ინგლისის ერთ დამახებზე ხმელეთის ოთხივე კუთხე შეინძრევა და მოსაშველებლათ გამოეშურება.

აი რა სასწაულებია მოახდინა ამ პატარა კუნძულმა, ნუ თუ ეს საკვირველი არ არის? განა ყოფულა ასეთი მაგალითი ოღვეს?



საქალაქო ინსტიტუტა „მოფატ“ (ინგლისში).

ინგლისის ხალხი ძლიერ მედიდურია. მას დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე. მისი აზრით ინგლისელს ევრაელს ვერ შეედრება, ევრაელს ვერ დაამარცხებს, ევრაელს ვერ აჯობებს. ის ყველგან და ყოველთვის პირველია. ის დარწმუნებულია, რომ მისი მოქმედება წმინდა, გონიერი და კაცობრიულია. ის თავის თავს თელის კულტურის და ცივილიზაციის მოციქულადაც. ეს აზრი მას ძეგლ-რბილში აქვს გამჯდარი და როცა შექსპირი თავს რჩინარდ მე-II ში ერთგმირს ალაპარაკებს: This land of such dear souls, this dear, dearsane, Dear for her reputation trough the worle... That England, trat wont to conguerothers“... (ეს ქვეყანა ასეთი ძვირფას პირთა, ეს ძვირფასი, ძვირფასი ქვეყანა, ძვირფასი თავის ყველგან განთქმული სახელსათვის... ეს ინგლისია ჩვეული სხეები დაიპყრას) — ამით ის ალაპარაკებს ინგლისის ერს, ამით ის ხატავს ინგლი-

სელთა სულის კეთებას, მათ მისწრაფებას და შეხედულებას. მართლაც, ხალხმა ძალიან უნდა გააზვიანდოს თავისი ძალა, რომ დიდი საქმე გააკეთოს. ათი ნაბიჯის გადადგმა უნდა მოინდომო, რომ ერთი ნაბიჯი გადადგა. ინგლისელი ყოველთვის ასე მოქმედებს და ყოველგან პირველობას იჩენს. მან უკან დახევა, შეშინება არ იცის. წყნარათ, ნელ-ნელა, მაგრამ მედგრათ და შეუპოვრათ ის წინ მიეჭანება და მის ფეხის ხმაზე არე-მარე ინძრევა და შეუოთავს. საქმის ცოდნა, მუყაითობა და გულადობა — აი ინგლისელი. აი, რა ბარავით მიღის ის გარეთ.

ასეთია ინგლისელი გარეთ.

როგორია ის შინ?

სასჯარ-გარეთელი.

ღონღონა 4 ივნისი.

(შემდეგი იქნება)



გოდება იერემიასი.

(გაღმორებული დავითინდან)

აბილონისა მდინარის პირას  
 ვისხედით ერთათ დატყვევებულნი...  
 გვაგონდებოდა ტკბილი სიონი  
 და ცრემლმცხვ ვღვრიდით სევდამოცულნი.

გვეკითხებოდენ იქ ჩვენი მტრები,  
 რატომ არ ევალობთ მათთვის ქებასა  
 და რათ არ ეუტებობთ გამარჯვებულებს  
 სიონის ხმებით ყურთა სმენასა.

ძეწნას დავკიდეთ საგალობელნი  
 და, კელაე მტრალნი, იქვე დავსხედით:  
 ვერ ვივალობებთ უცხო მხარეში  
 წმინდა გალობას, კურთხეულს ზეცით!

თუ დაგივიწყა, ჩემო სამშობლო,  
 შენც დაივიწყე ჩემი მარჯვენა,

და, თუ ოდესმე არ გაეცნო, სასას ამერას ეს ფლიდი ენა!

წყევლიც ვიყო, თუ შევიცვალა, იერუსალიმ, შენზე ეს გული! —

არ გილაღატებ უბედურ დღესაც, თუ ბედნიერ დღეს ვიყავ ერთგული!..


შენ მოიხსენე ედომის შეილინი და წამი იგი, მაღალა ღმერთო, როს დასასხოდენ იერუსალიმს:

„მის საფუძვლამდის დაარღვიეთო!..“

ჰოი, ასულო ბაბილონისაე, შენ უბადრუტო, წყევლო ლეთისკან! ნეტაი იმას, ეინც მოგაყენებს, რაც ჩვენ ქალწულებს მიაღვათ მტრისკან!

ეინც ხელთ შეიპყრავს შეუბრალეზლათ თქვენს ძუძუ-მწოვარ, უსუსურ შეილებს, ეინც კლდეს შეახლის იმათ თქვენ თვალ-წინ და თფთარ ქვებს სისხლით შეაღებინებს!..

— კი.



### ბიბლიოიოგრაფიული შენიშვნა

(ბ. თ. სასოკაი და მისი „რუსულ-ქართული“ ლექსიკონი. \*)



ადლობის ღირსია ბ. სასოკაი, რომ ქართველი საზოგადოების საჭიროება შეუგნია და მართლაც დიდი მძიმე, შეუფერებელი, შრომა უყისრია, რათა დახმარება და გულ-წრფელი სამსახური გაეწია ქართველი საზოგადოებისათვის ენის სუფთათ შენახვაში. მაგრამ იმდენათ შეუსრულე-

\*) ჩვენ იმდენათ შეუფერებელ მასლათ მიგვაჩნია ეს არა-ქართული ლექსთა კონა, რომ ამხე სიტუების თქმზე არ მიგვაჩნდა საჭიროთ. ხოლო ამ წერილს იმით გამოდგოთ აგვაღვივე\* ადგილს, რომ აქ წარმოთქმული აზრნი იმდენად ამტკიცებს იმას, თუ როგორი თვით-ცნობიერებით აფასებს საღისი ასეთ ნაწარმოებებს. მდღობა დემონს საღისს ისე ადგლათ კვადრანის მოატყუებს, როგორც ასმატელოკუბას დროს იყო. რედ.

ბია მისდამი თვის-ნებით ნაკისრი მოვალეობა, რომ იძულებული ვართ ეთხოვით ბ სასოკაის, რომ მის მიერ შედენილი და გამოცემული ლექსიკონის ლექსიკონიც გვიწყალობოს, რადგანაც ჩვენ მის მიერ შეკრებილი თაღლითი მარგალიტებისა ვერა გაევიგეთ-რა. არც ის ვიცით, რომელ ქვეყანაში ცხოვრებენ ისეთი სუფთა ქართული ენის მკოდენ ქართველები, რომელნიც გაავებენ ისეთ ქართულს, როგორსაც ჩვენ ეკითხულობთ სასოკაის ლექსიკონში და ქვემო მოგვეყეს იქიდან ამკრებილი სანიმუშოთ, ხელის ხელ საგომანება მარგალიტები. ამაზე ხმასაც არ ამოვიღებდით, რომ „სწრაზის ფურცელს“ უსაზღვრო ხოტბა არ შეესხა ამ ყალბი მარგალიტების მოძღვრისათვის. როგორც ვიცით, რამდენიმე ლექსიკონი მზდდება დასასტამბათ ქართულ ენაზე და ესურებებთ, რომ მათ მაინც აცდეს დამახინჯება.. ლექსიკონები დახაკ გვეკრია და აუცილებელიც არის მათი რიგინათ შემუშავება, ახალი ტერმინებით შეეცნება; მაგრამ ლექსიკონს სასოკაისებურს ღმერთო გვაშორე, ღმერთო გვაშორე.

Муфта	— — — —	ჭურბო.
Несчастный	— — — —	უნაწერო.
Ночник	— — — —	ფისოსო.
Папирозъ	— — — —	გლარუ-მიღას.
Плята	— — — —	ზუდადგარი.
Салатъ	— — — —	ტაშუყუნი.
Салогъ	— — — —	მოგვი.
Сезонъ	— — — —	ჟგუფი (?) (რ შუსაფუკი თარგმნაა?!).
Сливка	— — — —	ანაჟინი.
Славный	— — — —	განზინებული!
Смолѣ	— — — —	ადლეში (ადლეში მანკრას და სეც ქართული არ არის).
Сума	— — — —	გაშკანანი. (?)!
Табакъ	— — — —	გლარუა (რ დასაკ თუთუნმა, თამაქომ?!).
Температура	— — — —	იელიბი.
Труба	— * — — —	საკამლე, სვირი („მიღა“ არ ვარტყულს თურქე!)
Чай	— — — —	თურმანი.
Чайникъ	— — — —	ჭელი (!)
Ярлыкъ	— — — —	იერდელი.
Верзила	— — — —	ფირღა, თოქმა.
Гончаръ	— — — —	მამბე (ვითომ მკჭუ-რჭლეს რ უჭირდა?)
Каталогъ	— — — —	ჟუშელი.
Карболовая кислота	— — — —	თუხსი (თუხსი სულ სესას ნიშნეს).
Ковчиги	— — — —	სამოწმებელი.

Конка	—	—	—	ცხენჭა.
Кондитеръ	—	—	—	შეჭუნჯა (?)
Кружка	—	—	—	ტოჯა.
Рюмка	—	—	—	კუნჩხა.
Растегай	—	—	—	გუმატუჭა.
Полотно	—	—	—	არშენჯა. (ძველი სიტყვა, ან შინჯის სუდაჩის და არა ტილოს).
Варышня	—	—	—	ცოცხ.
Вушни	—	—	—	აგურა.
Будни	—	—	—	სადგე.
Свѣтскій человекъ	—	—	—	წუთი-სოფლის მაყურებელი კაცი. ჭ-სს. ჭ-სს.

ა, ასეთი ყალბი მარკალიტებით არის სავსე ბ, სახეობის ლექსიკონი. ენის გამოდრეგება, აბა, რა უბედურებაა ასეთი ლექსიკონების გამოცემა?!

მიტროფენი დღლი.



ქ ა ჯ ი.

(მოხრობა)

I.

**შ**ენიერია კვირიკეთი!\*) თითონ კვირიკელე-ბოც ძალიან აქებენ თავის სოფელს. საქები-ცა: იგი უხვათ არის დაჯილდოვებული ბუნე-ბის მრავალგვარ სიკეთით: საღი ჰავით, შეენიერი ზვარ ენახებით, თვალ-გაუფუფუნევი მინდრებით, საყინებთ, გორ-სერებით, რომლებიც შემ-სილია ზშირი, მაღალი ტყეებით;—ამთ შორის პირველი აღ-გილი უჭირავს წაბლარებს. შეენიერი სახანავია, რო-ცა წაბლის ბუციდან გამოიყურება ნაქუჭ-შეწითლე-ბული ნაყოფი, რომელიც თავის ეკლიან ქუჩქში ევლარ დატეულა, შუაზე გაუხმეთია იგი და კაცს მე-ტი აღრა უნდა-ია, რომ ბუციდან გამოაცალოს და... პირი ჩაგემრიელოს. კვირიკეთში ყველაზე უფ-რო სასიამოვნო აქაური ცივი წყაროებია. ესენა ჩუხ-ჩუხით ჩარბიან ერთ ხეშეშ და იქ ერთე-ან პატარა მდინარეს, რომელიც კვირიკელები ზოგნი „ქორე-ნას“ ეძახ-ან, ზოგნი „ქვერანას“. უჯანსაღელ სახელს ისტორიულა საფუძველიცა აქვს.—კვირიკეთის სოფ-ლის ეკლესიის გალავანში ძველათ ეგდო თურბე

ერთი გაუთხლები ძეა. ამ ქვაზე ცალ მხრით გამო-კეთილი იყო თურბე წმიდა გიორგი, რაშზე შე-მჯდარი, და მეორე მხარეზე დაწერილი იყო: „წა-გი დაიცვე ხევი ესე ქვერენა ქაჯისაგანო“... აქე-დან ჩანს, რომ სიმათლეს აღგანა ისინი, რომელ-ნიც ამ მდინარეს „ქვერენას“ ეძახიან.

„ქვერენა“ შეენიერი მდინარეა. მისი წყალი სარ-კესავით წმინდაა, იგი მოჩუხუნებს მოლომანებულ სიპ-კლდეზე. „ქვერენაში“ თევზიც ბევრია. სასიამო-ვნო სანახ:ებია, როცა კვირიკელი მეთევზე შექპოვს ქვას ქვეშ ხელს და გამოიყვანს ერთ წყრთა წერას ან ქაშახს. „ქვერენა“ ჰყოფს კვირიკეთს ორ ნაწი-ლათ: გლმა-გამოღმა, ან ზეშა და ქვეშა კვირიკე-თათ.

ზოგი კვირიკელი გლეხი ისეა ტყეზე ახლო და-სახლებული, რომ მის ეზოაა და ტყეს შუა მარტო-ლობის ვასავლები აღგლი რჩება.—სხვათა შო-რის, ტყის პირათ დვას ერთი სახურავ-ჩანჯრეული და აღაგალავ კედლებ-გაოკინიული ხის სახლი, რომელსაც ფართო და ვაკე მიწდარი არტყია, გარ-შემო. შეენიერი ეზო და შიგ მრავალი ხეხილი ყო-ფილა უწინ გაშენებული. იგი ახლა უპატრონობისა და მოუღვლელობის გამო წაშხდარა, გამწირებულა, ზოგიერთი სოფლიად გამხმარა, ოდესმე შეენიერი ენახი გაუსხეველობით გაუუქმებულა და გაუბარე-გაუთონობით შიგ მრავალი ეკალ-მაყვალა ამოსუ-ლი და მითათ წაუშლია იქ ენახის ეკალი! აღამა-ნი უნებლიეთ ღონდება, როცა ხედავს კაცის ნაშ-რომ-ნამოქმედარს ასე წაშხდარს, ბოლო-მოკლებულს...

სახლის და ეზოს სიფართოვე ამტკიცებს, რომ აქ ოდესმე კარგი შეძლებული ოჯახი მოსახლობდა. დალ, აქ ესახლა კარგა შეძლებილი გლეხი—სიმო-ნა ეკვიაშვილი. სიმონა პატიოსანი კაცი იყო, სო-ფელში ყველას უყვარდა, ისე უყურებდენ იმას, რო-გორც კეთილ სინიდისიანს, სიმათლის მიმდევარს, შრომაში დაუღალავს, მოამისთვის თვე-დაუყოფველს... ყველა ამ ღირსებებით შემკული იყო სიმონა, მგე-რამ, როგორც იტყვიან, „ხან-და-ხან ქონფას უქონ-ლობა ჯობსო“,—ისე მოუვიდა სიმონასაც; ერთმა შემთხვევამ თან გადიტანა სიმონა და თითქმის მთელი მისი სახლობა!..

საქმე აი როგორ იყო:—კვირიკეთში ერთ ოჯახ-ში ჭლები მძინვარებდა; ერთი კიდეც მოკვლა და დანარჩენებიც აეთ იყენ. საქმე იმ ზომამდე იყო მისული, რომ მიცვალებულის ვაჟმეწეველი აღრა-ვინ იყო, რადგანაც არც ერთი მეზობელი არ ეკა-რებოდა აეთმკოფებს. მაშინ სიმონამ თქვა: რალა კაცი ვარ, მეზობელს უჭარს, და არ მიგეშველო! ასეც ქნა, მიცვალებული თითონ გასეფნა და და-

\*) ეს ის კვირიკეთი არ ჩანს, რომელიც გუჩა-შია, აქ შერთო სახელია სახანარო.

ასაფლავა. თან წამალიც ჰქონდა, ვიღაც სოფლის მკითხავებისაგან შემზადებული; სიმონას ამის იმედი ჰქონდა, მაგრამ არ გაუფლია ერთ თვეს, ავამყოფოზა დაეტყო და ერთ წელს შემდეგ წუთისოფელს გამოავსალმა. ორის თუ სამის წლის განმავლობაში სიმონას მიჰყვენ შეილები!; დარჩენ ცოცხალი სიმონას ცოლი თეკლე და დედა-სოფიო. ამთ მიატოვეს სახლ-კარი და დესახლენ სოფლელებისაგან სამადლოთ მოწულ ფაცხაში. რამდენჯერ მიადგებოდენ ხოლმე ქერიეები თავიანთ ნაფოვარს და მწუხარეთ მოთქვამდენ. ეხოში შესვლას კი შიშით ვერ ჰბედადენ.

## II.

ქერიეები თითონ მუშაობდენ ყანა-ბოსტანს, ფეკადენ, მოჰქანდათ შეშა-წყალი და სხვა. ერთხანს მერობლები ხელს უწყობდენ საბრალო ქერიეებს, მაგრამ ერთ შემთხვევას შემდეგ მერობლები არა თუ შეელოდენ მათ, არამედ აღარც კი ეკარებოდენ! თვალთ დასანახათ შეიძულეს საბრალოები... საქმე აი რაში იყო:

ერთხელ (მგონი მარტში) სოფიას მახლის-წულის სახლის ყურეში, ნაებშემეს, კატებმა ჩხავილი შეჰქნეს. აქვანში ჩაძინებულ მეთოდეს (სოფიას მახლის-წული) პატარა ეყეს, ამ ჩხავილზე შემკრთალს, გამოავლიდა და ისეთი ტირილი მოართო, რომ შუალამემდეგ ვერაუროთ გაჩუმეს. ცოლმა მეთოდეს ეს მოვლენა ასე აუხსნა:

— ი, კუდიანი რომ არის, ბიცოლა შენი, კატები იმან შემოაკვსია, რომ შეილი გადაგვიროს!.. თითონაც კატთ არის გადაქცეული ახლა.. თავის შეილებს და შეილი-შეილებს ამოუჭამა გული და ახლა ჩემსას მოადგა!.. ახლა კუდიანებს დრო აქეთ, დიდ მარხვაა.

— განა შეილებს და შეილი-შეილებს გულის ამოჭმას მოინდობებდა? ამას ვერ დაეჯერებ!—თქვა მეთოდემ.

— კაცო, შე ჩერჩეტო, ეგ რატომ არ იცი, რომ როცა კუდიანები როკაპთან მიედენ, ყველა თითო კენჭს ესერის შიკ კბილებში...

— მერე კენჭის სროლა რას მოასწავებს?—გააწყვეტინა სიტყვა მეთოდემ.

— რას და იმას, რომ მსხვერპლია ყველა

კენჭში ჩათქმულია კაცი. უკეთესი მსხვერპლი ისაა, ვინც თავის ნათესაებს ჩაუთქვამს.

— მერე გულს საიდან ჰქამს კუდიანი?

— საიდან და იქიდან, რომ როცა მოკვდება ჩათქმული კაცი, მკედარს გულს ამოულებენ თურმე ი წყეულები და ჰამენ. კაცის გული თურმე ძალიან გემრიელია, კაცს ასუქებს და კუდიანი, აბა, რას ვერ იზოვის!.. დააგროვებენ კაცის გულებს და როკაპთან ერთათ დროს ატარებენ...

— ოჰ, ერთი ი როკაპთან მიმიყენა! ასეთ მსხვერპლს კი შეეწირავ, რომ, შე ნუ მომიკვდები, ეყოფა... ერთ ევებერთელა ლოდს კი ვესერი და იმ დაღრანჯულ კბილებს სულერთიანათ ჩავამტერე, — გაიხუმრა მეთოდემ, — კუდიანს რომ იტყვიან, განა მართლა კული აქეს, თუ როგორია? — განაკრძო მეთოდემ.

— აქეს და ეგრე!.. ერთი მწყურთა მეტი აქეს თურმე კული, დალაგრა ლმერთმა!

ამ სიტყვებთან ერთათ ტასიამ (მეთოდეს ცოლმა) პირჯვარი გადაიწერა და მარცხენასკენ გააფურთხა.

— ჩემი მამიდაშვილის მძახალი რომ იყო, კუდიანობაში იმას ევრენი ჯობდა!..

— მა თუ ასეა, მოდი დედალავ ბიცოლაჩემს და კუდიანობაზე ხელს ავალბინებ, მადლო! — თქვა მეთოდემ. ცოლმა მოაწონა. ახლა მარჯვე დრო იყო საჭირო. ესეც ჩქარა მოვიდა. ერთ საღამოს მეთოდემ შეშხედა, რომ სოფიო მოადის მათთან.

— ქალო! დაუძახა მეთოდემ ცოლს: — ემანდ რომ ლუქსმანი გილა, ახლავე ცეცხლში ჩაგვდე და გახურე! ცოლმა ბრძანება შესასრულა. სანამ მოხუცებული სოფო ბაჯბაჯით მეთოდესთან მივიდა, ლუქსმანი ისე გახურდა, რომ მისი გამოვლევაც კი ძნელი იყო.

— საღამო მშვიდობისა, შეილო! — უთხრა სოფიომ მეთოდეს და შევიდა სახლში.

— შენ რომ მშვიდობის ღამეს მოკცევი კი გეყოფა ეს, — თქვა თავის თავთ მეთოდემ და ცოლს ანიწა, რომ ჩუარი მოეტანა ლუქსმნის გამოსადებათ.

— კაი შეილი გყავს, მეთოდემ, ღერმა გაგიზარდას, — თქვა სოფიომ და აღერსიანათ ჩაჰკოცნა პატარა ბიჭს.

— მოწორი, შე კუდიანო! — შეჭყილა ტა-  
სიამ: — ბოეში არ მომიკლა!

— კაი რა მყავს განა მიტომ არ აძინებ და  
მოსვენებას არ ძლევი? მე შენ გაჩვენებ... შეჭყიერა  
მეთოდემ, გამოიღო გახურებული ლურსმანი ცუცხ-  
ლიდან და დასწვა საბრალო სოფიო შუბლზე და  
მაჯა ხელზე. გამწარებულმა სოფიომ ერთი შეჭკიე-  
ლა და პირქვე უგრანობლათ დეცა. თეკლეს მისმა  
ეს ხმა. მივარდა, ნახა რაც მომხდარიყო; ერთი-ორი  
მწარე სიტყვა უთხრა მეთოდეს, წამოაყენა დედამთი-  
ლი და ცოცხალ-მკვდარი წაიყენა სახლში.

ეს ამბავი მოხდა ვაღმა, ანუ ზემო კვირიკეთ-  
ში. ქვრივებს ამას შემდეგ იქ აღარ ედგომებოდათ,  
ყველას რწამდა, რომ სოფიო კუდიანია. ამისთვის  
თეკლე თავის ავთმყოფ დედამთილითურთ გამო-  
ლა — ქვემო კვირიკეთში დაესახლა. ამ მზის მცხოვ-  
რებლები უფრო თვინიერები გამოადგენ. — ამათ მო-  
უწუნეს თეკლეს ერთი ფაცხა და დაასახლეს შიგ.

თეკლე დიდი შრომით და მეცადინეობით უყ-  
ლიდა დედამთილს, რომელიც მას დღეს აქეთ რო-  
ცა „დადღეს“ დაეათმყოფდა. შრომობდა თეკლე,  
აკეთებდა სადღეკაცო, თუ სამამაკაცო საქმეს; მაგ-  
რამ უბედურს აქაც აუტყდა ერთი მოუწარებელი  
სენი. ეს სენი იყო ქაჯი, დიად, ქაჯი!..

### III.

ღამდებოდა. მზე გორას ამოეფარა და სხივ-  
მოკლებული ონაეულა აშუქებდა გამოღმა კვირი-  
კეთს. ქათმებმა საქათმე მოძებნეს, საქონელი კარგა  
ხანია საძოვრიდან დაბრუნდა. ძროხებმა შინ მოსე-  
ლისავე უმაღ თავიანთ ხბოებს დაუბღაველეს, ამათაც  
ხმა მოსცეს და, სიამოვნების ნიშნათ, კულ-ვაზბყვით  
კუნტროში იწყეს. გლეხები ყანიდან მხარზე თონ-  
გადებულები დაბრუნდნენ. ზოგი კი ისევ ყანაში იყო.

თეკლე გარეთ ვერაფერს ტოვებდა. ამიტომ, თუ  
რამ გააჩნდა, ყველაფერი ქონში შეზიდა და კარები  
მარჯვით გადაჩაზა. თეკლემ და მისმა ავთმყოფმა დე-  
დამთილმა ვახშამი გვიან ქამეს და მერე ძილს მიე-  
ცენ. სოფიოს მალე დაძინა, თეკლეს კი, თუმცა იგი  
იმ დღეს მუშაობისაგან დაღალული იყო, მაინც ძი-  
ლი არ ეკიდებოდა. — იგი გაიტაცა სხვა-და-სხვა ფიქ-  
რებმა... ფიქრობდა იმას, თუ როგორ კარგათ ცხოვ-

რებდა ქმრის ხელში; მერე ქმარ შეიღირ რომ დაე-  
ცა და ახლა რა დღე ადგია... ფიქრობდა იმასაც, თუ  
როგორ იცხოვროს შემდეგში მარტახელა ქალმა:  
ავთ რამ გახდეს, ვინ უპატრონებს, წყალს ვინ და-  
აღვივებს, რა ეშველება... სოფიო დღეს არის და  
ხელ აღარ! ამ ფიქრებით და სხვა ამ გვარებით გა-  
ტაცებული თეკლე წამოადგა და კარში გაიხედა ჭუქ-  
რუტანიდან. ბნელი ღამე იყო. თეკლემ რომ ღამის  
საშინელი სიბნელე ნახა, ძალიან შეეშინდა და მა-  
შინვე ლოცინში ჩაწვა.

— უჰ, რა სიბნელეა! ამოხებრით წარმოთქვა  
ქალმა: — ღმერთო, ამაღამ მაინც... მაგრამ, ჩუ!.. მო-  
აწია იმ დრომაც, როცა მოდის დაუპაკეებელი  
სტუჟარი!.. ისმის ბურტყული... კედელ მოურახუნა  
კარებს... თეკლე შიშისაგან საბანში ძებნება, ევლარ  
სუნთქავს, თვალები დახუჯა, ეითომ იმალებს, მაგ-  
რამ საღ? — აი, ბურტყული ისმის სწორეთ იმ კედელ-  
თან, რომელთანაც წვეს თეკლე.

— ოჰ, ღმერთო! როდის გათენდება! — ამბობს  
გულში საბრალო ქალი. ხელი გააპარა დედამთილისა-  
კენ, გავაღვიძებო, ანძრევეს, მაგრამ ამათ. სოფიო  
მეორე გვერდზე გადაბრუნდა და კვლავ ძილს მიე-  
ცა. — ვაი! როდის გათენდება!.. თითო წამი თითო  
დღეთ გრძელდება! საცოდავი თეკლე!.. ქაჯი არ ას-  
ვენებს... თეკლე, თეკლე! უძახის... ხან თათქო  
ტირის, ხან დიდგულობს, ბურტყულებს და გაჯე-  
რებული წიხლებს ცემს ქონის სუსტ კედლებს. ერ-  
თი ღონიერი წიხლიც, კედელი შემომიტრევა და  
მაშინ თეკლემ რაღა ქნას! საღ წაიციღს?! ჩუ! მად-  
ლობა ღმერთს! მამალი ყივის. ქაჯი გულმოსულია.  
ერთი ღონიერი წიხლი კიდევ შემოპკრა ფაცხას და  
თეკლეს, ავსთანავე, შემოესმა საშინელი ლანძღვა.  
რას ნიშნავს ეს?.. თითქოს კაცმა ქვას ფეხი წაპკრა!..  
თეკლე წამოადგა და გაიხედა კარში ჭუქრუტანიდან.  
შემოთენებულიყო. თეკლემ თვალი მოპკრა, რომ  
რაღაც კოკლი არსება აჩქარებული მიდიოდა, — ეს  
იყო ქაჯი. მამლებმა ყივილი გაანშირეს. ძაღლებმა  
ყეფა. გლეხებმა სოფელში გამოიღვიძეს და სამუშა-  
ოთ გამოვიდნენ. თეკლეც აშინ მიეცა ძილს. იმას  
ახლა აღარავისი ეშინია: ქაჯი წაივდა.

ძინავს თეკლეს, მაგრამ ათასნაირი ლანდები,  
მოჩვენებები არ ასვენებენ საბრალოს... ხედავს, რომ  
მოდის მთლათ ბალნით შემოსილი, გრძელ ფრჩხი-

ლებიანი საშიში კაცი. თეკლეს შიშით თელგები ეხუტება... კაცი მოვიდა და მიძინარე თეკლეს თავზე დაადგა. აი, კიდევ დაიხარა, უნდა თავისი უშნო ხელები ჩახვიოს თეკლეს ლამაზ მკერდში... ამ დროს შემკრთალი თეკლე ლოგინიდან უცერათ წამოვარდა და „ჰაჯი“, „ჰაჯი“-ო გაიძახოდა.

დ. თომაშვილი.

(შემდეგი აქნება)

პროვინციის ვითარება.

(დაკვირვებასა ეურჩას ცხოვრებადან).



ენი ქვეყნის სხვა კუთხეების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ გურიაში კი ამ ქვაბით გაფაციკებით აღვნიშნებ თვალს ჩვენ ქურნალ-ვაზეთებს. გურია წინეთაც ცნობილი იყო ამ მხრით, მაგრამ დღეს ვაზეთების კითხვა აქ ჩვეულებრივ საზღვარს გადაცილდა და ბევრათ წინ წავიდა. თქვენ, რასაკვირველია, იკითხავთ, რა იყო ამის მიზეზი? მე აქ დავასახელებ მხოლოდ ერთ გარემოებას, რომელიც ამ მოვლენის უფრო გარეგანი მიზეზი უნდა იყოს, ვინც შინაგანი. მე ვამბობ, უკანასკნელ ოსმალეთ-საბერძნეთის ომზე. ამ რამდენიმე წლის წინეთ ოსმალეთის სომხების მოძრაობამ აალა პარაკა გურულები და ვაზეთების კითხვაც უფრო საინტერესოა შეიქნა ამის გამო. მაგრამ ოსმალეთ-საბერძნეთის ომის ამბებმა გურულების ნახევარი ნაწილი მიანიც ვაზეთების მკითხველთა გადააქცია: იცოდა, თუ არ იცოდა კითხვა; ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ვაზეთის მოსვლას უცდიდა მოუთმენლობით, რომ საჩქაროთ გეგოვ, რა მოხდა ახალი ოსმალეთსა (ანუ როგორც აქ ამბობენ: თათრებსა) და ბერძნებ შუა, ვინ სად გაემარჯვა, რომელი ქალაქი, ანუ სიმაგრე აიღო, ვინ დამარცხდა და სხვა. როცა ამ გაცხარებული ომის დროს რომელსამე სასოფლო წიგნთსაკავეში მოიტანდნენ ვაზეთებს, უნდა გეტყურებოთ, როგორ ავლევდნენ ამ ვაზეთებს ერთიმეორეს. თუ ვინცობაა ამ თავისებურ ბრძოლაში მისთანა გამარჯვება, რომელმაც კითხვა არ იცოდა, იმ შემთხვევაში, ის თითონ ირჩევდა წამოკითხველს. ეს უკანასკნელი ხმა-მალა უკითხავდა დანარჩენთ განსაკუთრებით ომის ამბებს, რადგანაც წინდწინე იცოდა, რომ მსმენელების უმთავრესი ყურადღება ამ ამბებისკენ იყო მიქცეული. კითხვის დროს შე-

სანაშენი ის იყო, რომ საზოგადოთ მსმენელების მზარულ სახეს, სანამ ვაზეთების კითხვას დაწყებდნენ, სიმწუხრის ფერი გადაეღებოდა. ეს იმიტომ რომ ვაზეთებს მუდამ ოსმალეთის ბერძენაზე გამარჯვების ამბები მოჰქონდათ და ეს გარემოება კი საერთოთ ყველასთვის საწყენი იყო.

რომ ამნაირ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე ოსმალეთის აურაცხელი და გაწრთენილი ჯარის გამარჯვება საბერძნეთზე, რომლის ჯარი ვერც რაოდენობით და ვერც გაწრთით სამხედრო ცოდნაში ვერ შეედრება ოსმალეთისას, ამას ბევრი მიზეზი აქვს. მართალია წინეთ, სანამ ბიზანტიის სახელმწიფოს ძალა ჰქონდა, საბერძნეთს ბევრი შავი დღე მოუყენებია დასავლეთ საქართველოსთვის, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბიზანტიის სახელმწიფო, ამომსავლეთის დესპოტიზმის უღელ-ქვეშ მყოფი, თანდათან მოუძლურდა, გაიხრწა და ბოლოს მე-XV საუკუნის ნახევარში სრულიად დეშვი ოსმალეთთან უკანასკნელ შეტაკების დროს, ის უსიამოვნებანი, რომლებიც ჩვენთვის საბერძნეთს მოაყენებია წინეთ, თანდათან დაიწყებულ იქნა, და თვით ბერძნები ჩვენ თვალში დღევანდელ და დაჩაგრულ ხალხს წარმოადგენდნენ. მეორე მხრით, ჩვენსა და ოსმალებს შუა, მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი მცირე აზიაში გაჩნდნენ, მუდამ მტრული განწყობილება იყო, მუდამ ბრძოლა. ეს მიგვაჩვენებს მხოლოდ ამ რამდენიმე ათი წლის წინეთ შეიკვალა. მაგრამ ოსმალეთის მტარელობა და სასტიკობა გურულებს კიდევ კარგა ხანს ეხსომებათ. სხვა გარემოებანიც რომ ამ დავასახელოთ, ნათქვამიდანაც ცხადია, თუ რათ თანაუგებობა და თანაუგრძნობა ჩვენი ხალხი ბერძნებს. ამ თანაგრძნობაში არაერთი წინდახედულ პოლიტიკურ მოსახრებას ადკილი არ ჰქონებია; ეს თანაგრძნობა სრულიად ინსტიტუტური იყო, უბრალო სიბრალოლი და მეტი არაფერი.

უნდა ითქვას, რომ თუ გურიაში საინტერესო შეიქნა ოსმალეთ-საბერძნეთის უკანასკნელი ომი, აქ საკუთარი სარგებლობის გრძნობასაც საქმარის ადგილი ჰქონდა. ცნობილია, რომ მისს, ათავგვარი ცუდ და მანე თვისებასთან, ერთი კარგი თვისებაც აქვს, სახელობ ისა, რ ამ ომმა ხშირათ ხალხის გამოფხზულება იცის, თუ ეს ხალხი სრულებით გონება და ძალა-ძინილი არ არის. ეს მოსახრება შესაძლებელია მხოლოდ სანახევროთ მივიღოთ. საქმე ის არის, რომ ომიდან უფრო ხშირათ ხალხი ნიეთეს სარგებლობას, გამდიდრებას, მოყლის. ჩვენში, მაგ, ამბობენ, რომ ომიანობის დროს დიდ-ძალი ფული დატრიალდება საზოგადოებაში და ხალხი გამდიდრდება. გარეგნობით, თუ კრძო პირების გამდიდრებას

ეტიონებთ მხედველობაში, ამნაირი მსჯელობა მართალი გამოდგება; მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩაუკვირდებით ამ საგანს, აღმოჩნდება, რომ იგი მთელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დამამხობელია. მაგრამ ხომ იციან, წყალ-წალბეული კაცი ჩაილასკ წაბრანს ხოლმე ხელს? გურია დღეს მატერიალური მხრით გაჭირვებულ მღვდმარეობაში იმყოფება, ამიტომ სრულებით გასაკვირველი არ არის, რომ იმანაც ჩაღას დაუწყოს ხელისსაოტინი. აქ მხა გავრცელდა, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის ომში რუსეთიც ჩაერგვო. ეს ამბავი ყველას ჩაქვრა გულში, რასაკვირველია, სასიხარულით, რადგანაც ომის ატენა იმავე დროს უფლის განჩინას ნიშნავს აქ.

— ნეტა ბერძნებს არაიენ მოეხმარება? რუსეთი ხომ ბერძნების მხარეზეა და ხომ უნდა მიეხმაროს უსათუთო? — ამ სიტყვებით მომმართავენ ხშირად გურიაში უბრალო სოფლები. იმათი ლაპარაკის კილო ამტკიცებდა იმათი სიტყვების გულწრფელობას. მე რა უნდა მეპასუხნა? რაც შემძლო, მარტვათ ვეცუადი, რომ იმათი აზრი მართალია, მაგრამ დღეს ევროპის დიდი სახელმწიფოები სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო სულ სხვანაირად მოქმედებენ-მეთქი. ჩემ საუბარს ძლიერ გულდასმით ისმენდნ ხოლმე, მაგრამ სამაგიეროდ მე იმათგან არასადღეს არაფერი გამოვირინა. ეტყობოდათ, რომ ამნაირი აზრი მათთვის გაუგებარიც იყო და წარმოუდგენელი და ეს იმიტომ, რომ მათი აზრით, როცა ორი ხალხი, ან თუნდ ორი კაცი ერთმანეთს ებრძვიან, მომხმარებ, ე. ი. მესამე პირი, უნდა უსათუთო სუსტს მიეშველოს.

ზევით მე იმაზე დაიწყე ლაპარაკი, რომ გურიაში დღეს შესანიშნავი გაცაცებით კითხულობენ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს-მეთქი. ეს ვარემოება კი, ჩემის აზრით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ყველა იმათთვის, ვისაც ჩვენ ხალხზე ჭკმარიათ შეტყივა გული. ამ ფაქტებიდან ყველას შეუძლია ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ ჩვენი ხალხი წინეთ რომ გონება ჩილუნი იყო, დღეს ისე აღარ არის. ახალი ცხოვრების ათსაგანმა მოთხოვნილებამ ძალაუფლებურათ შეუნძირა მას ტენი და მოძრაობაში მოიყვანა. რასაკვირველია, ჩვენი ხალხის გონება ჯერჯერობით მხოლოდ ფხვს იღვამს, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლო მომავალში დაიწყებს იგი სიარულს. სხვა ქვეყნებში, სადაც ხალხი იმავე პირობებში ყოფილა, როგორც ჩვენშია დღეს, სხვათა შორის, ლიტერატურას დიდი სამსახური გაუწყვია საზოგადოებისთვის ამ გონებრივ წარმატებაში. განა საქირა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენითვისაც სწორეთ ეს გზა სასურველი? მაგრამ ყვე-

ლამ კარგათ უწყის, რომ ლიტერატურის გზა არ არის ვარდებით მოყვნილი. ეს კიდევ არაფერია, უფრო საძინელო ის არის, რომ ლიტერატურის ასპარეზზე უფრო, ვინც სხვა რომელსავე ასპარეზზე, საქირანი არაიან ერთი მხრით მტკიცე და მაგარი ხანიათის პირნი და მეორე მხრით ფართო და ნათელი გონების მექონენი, უმაღლესათ განვითარებული პირნი. ლიტერატურის ასპარეზზე მოქმედეთ ძეღლსა და რბილში უნდა ჰქონდესთ გამჯდარი ის აზრი, რომ იმათი ნათქვამი და დაწერილი საზოგადოების კუთვნილებათ უნდა ვახდეს, რომ იმათმა სიტყვამ საზოგადოებას გზა გაუკვლოს, თვისსავე გულში ჩახებდოს. ამისათვის საქირა ღრვა გამჭირაბობა და წინდახედულება, რადგანაც ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ პირველი შეხედულებით სრულიად მართალი აზრი, თუ მას კრიტიკულათ ვაგარჩეთ ყოველად შემეცდარი და ყალბი გამოდგება; სამწუხაროთ, სწორათ ლიტერატურის საშუალებით ვრცელდება ხშირათ საზოგადოებაში სხვა-და-სხვა შემეცდარი აზრები, რომლებიც შემდეგ ისე ადვილი მოსაპობი როდია, როგორც მათი ვაგრცელება. მაგრამ შესაძლებელია, ზოგიერთმა ეს სიტყვები უადგლოთ ჩათვლოს აქ; ამიტომ საქირათ მიმჩინია, შემდეგი ამბავი მოვავონო იმათ.

რასაც მე ზევით ვამბობდი იმაზე, თუ რა ინტერესით ეკიდებოდნ ვაზეთებს გურიაში ოსმალეთ-საბერძნეთის ომის ამბების გამო, მე ვანცებ არ მოვიხსენიე მეორე ვარემოება, რომელსაც ამაში წილი ედევ. მე ვამბობ ამ რამდენიმე თვის წინეთ თფლიოსის ვაზეთებში ატეხილ და დღემდის დაუბოლოებულ კამათზე სომხების წინააღმდეგ. მართალია, იმ წერილებსაც ინტერესით კითხულობდენ, რომლებსაც საგანს საერთოთ სომხების გაქვლევა და გამაზე ადგენდა, მაგრამ მეორე მხრით აქ დიდი განსხვავება იყო, თუ ოსმალეთ-საბერძნეთის ომი თათქმის მთელი ხალხის ინტერესს იქცევდა თავისკენ და თუ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც არც ხალხის მსჯელობა იყო ამ საგანზე სრულიად უგუნური და მით უფრო წრესგადასული, თუ ეს მსჯელობა შედარებით მიუდგომელი, ობიექტიური იყო, მაგიერათ სომხების წინააღმდეგ საკამათო წერილებს პირიქით აღტაცებით ევებებოდა, მხოლოდ ჩვენი საზოგადოების ერთი პატარა წრე, რომელისთვისაც ვგრეთ წოდებულ სკოლეფ განათებას ნამდვილი ცხოვრების დავთარი აუფრევია და რომელიც ამისგამო აღარც იქით არის და აღარც აქეთ, ანუ როგორც ამბობენ რუსები: „ОГЪ ЗЕМЛИ ОТСТАТЬ, НО И КЪ НЕБЪ НЕ ПРИСТАТЬ“. ამიტომ არც ვასაკვირველია, თუ ამ უნიდავო წრის მსჯელობა, ხსენებული კამათის შესახებ, ცხოვრების ლოლიკას სრულებით

არ ეყარება; ქონებას აქ ადგილი აღარ ჰქონდა. აქ ყოველივე დამორჩილებოდა აღერა-წახსნილ ენებათა ლელვას. ყველაზე უფრო სამწუხარო აქ ის გაჩნდებოდა, რომ ამ გონების დაბნელებაში ერთობ დიდი წილი უდევს ჩვენ ზოგიერთ „მოღეწეთ“, რომლებმაც წმინდა ზვეშურათ და ყოველად უსაფუძვლოთ მოიწადინეს მთელი ერის წმინდათა წმინდის შელახვა. მე ვიცი, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისთვის ქალაქის „მოღეწენი“ გამოვიყენებ:

— შენ ვიღაც პროვინციელი ხარ, შენს ტყაუნი დაეტივ; ქალაქის საქმეებზე ლაპარაკს შენ არაფერ გრჯის!

— კარგი და პატიოსანი: მე ქალაქის საქმეებზე მსჯელობაში არავის ვეცილები; მაგრამ დრო არის, ბატონებო, გაგოთ, რომ ქართველებსა და სომხებს შუა მტრობა და ქიშპობის დათესვა, თქვენი კი რა ვიცი. და ჩვენ, პროვინციელებს ბევრიზიარათ გვეხება. გაგოთ, რომ სადაც თქვენ ერთი კალონის მოსმით ათავებთ საქმეს და სხვა არა გეხარჯებათ, რა, იქ ჩვენ სსხლის ღვრით უნდა გვაფსოროთ თქვენი წარამარა ლაპარაკი და შეძლება, ბოროტობით ჩაღვნილი შეცდომაც. ის, რასაც თქვენ დღეს სტამბის საშუალებით თესაუთ ჩვენ საზოგადოებაში, შეიძლება, ჩვენ წერაქვითაც ვეღარ ამოვშალოთ. რათ წაიყენეთ საქმე ასე ცუდათ? თუ ზოგიერთი სომხების მოქმედებით თქვენ უმკაცროდ იყავით, რათ ამხედრდით მთელი სომხობის წინააღმდეგ? მთელი სომხობა, როგორც ერთი, აქ რა დამნაშავეა? რას გამოვლოდით აქედან? ნუ თუ მთელი ერთი, რომელიც, თქვით, ცუდი ხსიათისაც არის, და ამასთანვე არც მოყვარე ჩვენი, უმჯობესი იქნება, რომ მტრათ გეყავდეს? ჩვენ, პროვინციელებს, ბევრი რამ გვაქვს კიდევ თქვენთან საკითხავი, მაგრამ ამ ხნობით მხოლოდ ერთი უნდა გკითხოთ: როდის გავვათავისუფლებთ კერძო პირებს ყოველად უსაფუძვლო ლანძღვა-გინებისაგან და მთელი ერის სრულიად უზარო ცულისწამებისაგან? როდის ექნება დასასრული დაკლულ ღორებზე ბაასს? ესეც ხომ ბანკი და კონვერსია არ არის, თქვე დალოცვილებო!

პროვინციელი,  
(შემდეგი იქნება).

საკველ-მოქმედო საქმე.



— ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვაძოდით თქვენის პეტეჟეჟული „პაპლის“ საშუალებით უგულითადის მადლობა გამოავსეს

დათ „ქრისტიანთა“ გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც შეამოსწირა ჩემ მიერ დაწესებულ სახალხო საქმიანულს, სოფელ ილექში, 23 ქართული წიგნი დირებული 10 მ. 25 მ ქმებს ჰილდექეს, რომელთაც შეამოსწირეს 5 წიგნი დირებული 1 მ. 35 კაპ. და ავანე დიმიტრის მქ ჰსწავრამოქვს, რომელმაც ატრეტე შეამოსწირა სამი წიგნი დირებული 1 მ. 2 მ.

სამიანისკვლას მწამბოქული დი. პეტეჟეჟიანი.

ქნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი შურნაღი „პაპლის“ საშუალებით ჩემი უგულითადის მადლობა გამოავსეს დათ ქ. თელავისში მტრებზე „პაპლის“ კოსტანტინე ქრისტესას მქ გქაფურამოქვს, რომელმაც ჩემდამო წმინდულ საწირის სკოლას შეამოსწირა: სურათი „საქართველოს დიდა“; შიდაღ ჩანჩხში ჩსმული, დირებული 10 მ.

საწირის სკოლას მასქ. მ. ლორთქიფანიძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წკრეთდას.

ХАРЬКОВСКАЯ  
ЗУБОВРАЧЕБНАЯ ШКОЛА  
ОТКРЫВАЕТСЯ СЪ 1-го СЕНТЯБРЯ.

Принимаюся прошения отъ лицъ, желающихъ получить званіе зубнаго врача или дантиста.

Съ разрѣшенія г. попечителя учебн. окр. воспитанники школы имѣютъ свободный входъ въ анатомическій театръ и лабораторію университета. Составъ лекторовъ слѣдующій: профессора универ. г.г.: Поповъ С., Бѣлоусовъ, Додукаловъ, Орловъ и Рещевъ; лаборантъ ѳнр. Федоровскій и докт. мед. Немировскій. Убн. щаться къ учредителю г-ру Немировскому (Николаевская площадь, д. Штейфона). (4—3).

გამოვიდა ახალი წიგნი  
**ზანგი და თითრი**  
შვიდი ცნებოკრავიული ნასტით.  
ჯავილის ბაჰოსება  
თუასი 15 კაპ., ხოლო საშქრათ, ვარაყინ ყდა  
ში, ელირება 1 მან. 20 კაპ. იყიდება წერა-  
კითხვის საზ. წინთ-საკაფში და „ჯავილის“  
რედაქციასში,